საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

17 დეკემბერი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

დისციპლინური საქმე №50/18

-- -- 2018 წლის 16 თებერვლის №-- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად 2018 წლის 18 ივლისს მომზადებული №50/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 17 დეკემბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ განჩინება კანონით დადგენილ ვადაში არ ჩაბარებია. ამასთან, მოსამართლემ განჩინებით ბაჟის ნახევარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად მიიჩნია, თუმცა არ დაუსაბუთებია რის საფუძველზე.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

2.1. 2016 წლის 14 ივლისს -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა -- -- მოპასუხე საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს -- -- -- ადგილობრივი საბჭოს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს -- -- -- ადგილობრივი საბჭოს 2016 წლის 31 მაისის №-- გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და

პრობაციის სამინისტროს -- -- -- ადგილობრივ საბჭოს გარემოებების არსებითად გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და მოსარჩელის სასჯელისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლების შესახებ №-- პენიტენციური დაწესებულების შუამდგომლობის დაკმაყოფილების დავალდებულება.

-- საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 08 სექტემბრის გადაწყვეტილებით (მოსამართლე -- --) -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს -- -- -- ადგილობრივი საბჭოს 2016 წლის 31 მაისის №-- გადაწყვეტილება და მოპასუხე საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს -- -- -- ადგილობრივ საბჭოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ დაევალა, კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა -- -- პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ წარდგენილ შუამდგომლობასთან დაკავშირებით.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს -- -- -- ადგილობრივმა საბჭომ 2016 წლის 11 ოქტომბერს.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 დეკემბრის განჩინებით საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს -- -- -- ადგილობრივი საბჭოს სააპელაციო საჩივარი მიღებული იქნა განსახილველად.

-- სააპელაციო სასამართლოში 2017 წლის 14 ნოემბერს გამართულ სასამართლოს სხდომაზე საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს -- -- -- ადგილობრივი საბჭოს წარმომადგენელმა იშუამდგომლა დავის საგნის არარსებობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტაზე.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 14 ნოემბრის განჩინებით (მოსამართლეები - -- --, -- --, -- --) საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს -- -- -- ადგილობრივი საბჭოს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; შეწყდა -- -- სარჩელთან დაკავშირებით საქმის წარმოება და გაუქმდა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება; -- -- დაუბრუნდა 2016 წლის 08 ივლისს -- -- მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი 50 ლარის ოდენობით.

2018 წლის 05 მარტსა და 26 მარტს -- სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა -- -- და მოითხოვა სააღსრულებო ფურცლის გაცემა და ბაჟის დაბრუნება.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 14 ნოემბრის განჩინება გაეგზავნა 2018 წლის 29 მარტს.

სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით მხარემ სასამართლოს მიმართა 2018 წლის 16 აპრილს. სააღსრულებო ფურცელი გაცემულ იქნა 2018 წლის 19 აპრილს.

2.2. არსებული სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლე -- -- 2017 წელს განსახილველად ქონდა 422 საქმე (მათ შორის სააპელაციო საჩივარი და კერძო საჩივარი), საიდანაც დაასრულა 307 (72.7%).

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10}-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის შეწყვეტის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განახევრდება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს უგზავნის იმ გადაწყვეტილების, განჩინების ან ბრძანების ასლს, რომელიც ექვემდებარება გასაჩივრებას იმავე ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. სხვა სასამართლო აქტების ასლები მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს გადაეცემათ მათი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. წარმომადგენლისათვის გაგზავნილი დოკუმენტი ჩაითვლება მხარისათვის გაგზავნილად, ხოლო მხარისათვის გაგზავნილი – წარმომადგენლისათვის გაგზავნილად.

დადგენილია, რომ -- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 14 ნოემბრის განჩინებით საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს -- -- -- ადგილობრივი საბჭოს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; შეწყდა -- -- სარჩელთან დაკავშირებით საქმის წარმოება და გაუქმდა -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება; -- -- დაუბრუნდა 2016 წლის 08 ივლისს -- -- მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი 50 ლარის ოდენობით. -- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 14 ნოემბრის განჩინება მხარეებს გაეგზავნათ 2018 წლის 29 მარტს.

მოცემულ შემთხვევაში სახეზე არის კანონით განსაზღვრული მოთხოვნის სასამართლო განჩინების მხარისათვის ჩაბარების ვადის დარღვევა, ვინაიდან, დასაბუთებული განჩინება მხარეს გაეგზავნა კანონით დადგენილი ვადის გასვლიდან 4 თვის შემდეგ, რაც თავის მხრივ შეიცავს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნიშნებს. თუმცა მოსამართლის დატვირთვის გათვალისწინებით აღნიშნული ვადა არ წარმოადგენს იმ სახის დარღვევას, რომლისთვისაც მიზანშეწონილია მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყება.

რაც შეეხება ბაჟის განახევრების საკითხს, აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილი პირდაპირ მიუთითებს სამართალწარმოების შეწყვეტის შემთხვევაში ბაჟის ოდენობის განახევრებაზე. ამდენად, ამ მიმართებით მოსამართლის მიერ რაიმე ტიპის გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსამართლის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2018 წლის 17 დეკემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული

კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 13 ხმით (ერთმა წევრმა მხარი დაუჭირა დისციპლინური დევნის დაწყებასა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევას), სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №50/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი